საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №15

ბათუმი 15 მაისი **2023წ.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის" 84[1] მუხლის მე-2 პუნქტის, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი"ქვეპუნქტისა და 149-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესი, თანახმად N1 დანართისა.
2. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობის (სერტიფიკატის) ფორმა, თანახმად N2 დანართისა.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ნოემბრის N 62 ბრძანება.
4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ალაქი ბათუმი ს.ზუბალაშვილის ქუჩა N 30) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე

კოდიფიცირებული

,,დამტკიცებულია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარის 2023 წლის 15 მაისის N15 ბრძანებით

დანართი N1

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში
სტაჟირების გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში (შემდგომ – უმაღლესი საბჭოს აპარატი) სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სტაჟირების მიზანი

სტაჟირების მიზანია პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიკაციის ამაღლება საჯარო დაწესებულებისათვის მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის მოსამზადებლად.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება – უმაღლესი საბჭოს აპარატში ამ წესით რეგულირებული საქმიანობის ანაზღაურების გარეშე განხორციელება;

ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულში საქმიანობას ახორციელებს ამ წესის საფუძველზე;

გ) კანდიდატი – სტაჟირების გავლის მსურველი პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად მონაწილეობს უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ გამოცხადებულ სტაჟირების კონკურსში (შემდგომ - კონკურსი);

დ) სტაჟირების კოორდინატორი (შემდგომ – კოორდინატორი) – უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს სტაჟირების გავლის ორგანიზებას და საერთო ზედამხედველობას;

ე) მენტორი – უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ სტაჟირების კონკურსის გამოცხადებამდე შერჩეული თანამშრომელი, რომელიც ამ სტრუქტურულ ერთეულში უშუალოდ ხელმძღვანელობს სტაჟირების გავლის პროცესს, ხელს უწყობს სტაჟიორს პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

მუხლი 4. სტაჟირების ხანგრძლივობა

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის ერთ სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების ხანგრძლივობაა ერთი თვიდან ექვს თვემდე. კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს აპარატის უფროსი, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან შეთანხმებით. ექვს თვეზე ნაკლები ვადით მიღებულ სტაჟიორს, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით, აპარატის უფროსის ბრძანებით, შეიძლება ერთჯერადად გაუგრძელდეს სტაჟირების ვადა, თუმცა უმაღლესი საბჭოს აპარატის ერთ სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

2. სტაჟიორს უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირება რამდენჯერმე გაიაროს, თუმცა უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. უმაღლესი საბჭოს აპარატის ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების ორჯერ გავლა დაუშვებელია.

3. სტაჟირება შესაძლებელია გამოცხადდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში: უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო, უმაღლესი საბჭოს ფრაქციების აპარატები, დეპარტამენტები, ბუღალტერია, კომიტეტების აპარატები.

თავი II. კანდიდატისათვის დადგენილი მოთხოვნები და კონკურსი

მუხლი 5. კონკურსის გამოცხადება და ძირითადი მოთხოვნები

1. უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟიორი მიიღება კონკურსის წესით. სტაჟირების კონკურსი ცხადდება წელიწადში ორჯერ, უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო ან/და საშემოდგომო სესიის დაწყებამდე. გადაწყვეტილებას სტაჟირების კონკურსის გამოცხადების შესახებ უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის წერილობითი მიმართვის საფუძველზე იღებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი (29.12.2023, N39).

2. სტაჟირების კონკურსი ცხადდება, კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება განთავსდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე (www.sca.ge).

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს აუცილებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს და შემდეგ მონაცემებს:

ა) საჯარო დაწესებულების დასახელებას;

ბ) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

გ) განაცხადისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და წარდგენის ვადას;

დ) სტაჟიორის ფუნქციებს;

ე) საკონკურსო თემატიკა;

ვ) კონკურსის ეტაპებს.

4. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, შესაძლებელია ასევე შეიცავდეს კონკურსთან დაკავშირებულ სხვა დამატებით ინფორმაციას.

5. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა, კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უმაღლესი საბჭოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: contact@Sca.ge უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი სტაჟირების გავლის თაობაზე;

ბ) უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე ან მესამე საფეხურზე ან პროფესიული განათლების საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) სწავლის დამადასტრებელი ცნობა ან/და უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების ერთ-ერთი საფეხურის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (29.12.2023, N39).

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს, განაცხადი მხოლოდ ერთ სტრუქტურულ ერთეულში წარადგინოს.

7. კანდიდატის კვალიფიკაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც ის სწავლობს თანხვედრაში უნდა იყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის პროფილთან.

8. უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟიორად შესაძლებელია მიღებული იქნას საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე:

ა) რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას;

ბ) აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნას.

მუხლი 6. სტაჟირებაზე უარის თქმის საფუძვლები

1. უმაღლესი საბჭოს აპარატში პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:

ა) ნასამართლევია განზრახი დანაშაულისათვის;

ბ) საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;

გ) სტაჟიორად მიღებისას არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;

დ) სასამართლოს მიერ ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება კანდიდატს წინამდებარე წესის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სტაჟირების ორგანიზება

უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებში კონკურსთან დაკავშირებულ პროცედურებსა და სტაჟირების გავლას კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

მუხლი 8. სტაჟირების კომისია

1. უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით იქმნება სტაჟირების კომისია (შემდგომ – კომისია).

2. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრებისაგან. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას ბრძანებით განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ბრძანებით ნიშნავს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და კომისიის მდივანს. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს (29.12.2023, N39).

3. სტაჟირების კომისიის თავმჯდომარეა უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ: უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი, უმაღლესი საბჭოს აპარატის იმ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, სადაც გამოცხადებულია კონკურსი და კომისიის სხვა წევრები (29.12.2023, N39).

4. სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, რომელიც შერჩეულია მენტორად ვერ იქნება კომისიის წევრი.

5. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კონკურსთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, საჭირო დოკუმენტაციისა და შესაბამისი მასალების მომზადებას.

6. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

7. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

მუხლი 9. კონკურსის ეტაპები, ჩატარების ფორმა და პირობები

1. სტაჟიორთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ეტაპებია:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) კანდიდატის შეფასება;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

2. კონკურსის პროგრამას და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია.

3. კონკურის პირველი ეტაპი წარმოადგენს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული კონკურსით დადგენილ მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.

4. კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას საკონკურსო თემატიკის, მისი მოტივაციისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მასთან გასაუბრების გზით.

5. კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგის, ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე.

6. კონკურსის მეორე ეტაპზე, კომისია გასაუბრების შედეგად იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სტაჟიორად მიღების შესახებ;

ბ) სტაჟიორად მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) სტაჟირების კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ.

7. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადმიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით კანდიდატს:

ა) აწვდის ინფორმაციას კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

ბ) განუსაზღვრავს ვადას არანაკლებ 10 სამუშაო დღის ოდენობით ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

8. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადმიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება სტაჟირების კონკურსის საბოლოო შედეგებს აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე (www.sca.ge).

9. უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში სტაჟიორი ინიშნება კომისიის გადაწყვეტილების წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანებით და მასთან ფორმდება ხელშეკრულება.

10. ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უმაღლესი საბჭოს აპარატის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში შეიძლება დაინიშნოს არაუმეტეს 2 სტაჟიორისა.

11. სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს აპარატი სტაჟიორს სთავაზობს სტაჟირების უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გაგრძელებას. სტაჟიორს ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს უარი განაცხადოს სტაჟირების უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გაგრძელებაზე.

მუხლი 10. სტაჟიორთა სამუშაო დრო

სტაჟიორის სამუშაო კვირის ხანგრძლივობაა 5 დღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. სამუშაო დრო იწყება 09:00 საათზე და სრულდება 18:00 საათზე. შესვენება - 13:00 საათიდან 14:00 საათამდე.

თავი III. სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები. მენტორის მოვალეობები

მუხლი 11. სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები

1. სტაჟირების განმავლობაში, სტაჟიორს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს უმაღლესი საბჭოს აპარატისა და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკას, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით, ელექტრონული და სხვა საშუალებებით;

გ) სტაჟირების მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, დასაბუთებული წერილობითი ფორმით, შეატყობინოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

2. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრება და რომელიც გამომდინარეობს უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან;

ბ) იხელმძღვანელოს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებითა და უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით;

გ) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მუშაობაში, სტაჟირების სპეციფიკის გათვალისწინებით;

დ) დაიცვას უმაღლესი საბჭოს აპარატის შინაგანაწესი და ამ წესით დადგენილი მოთხოვნები, უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და სხვა აქტები, რომლებიც, მათი შინაარსისა და სტაჟირების თავისებურებათა გათვალისწინებით, სტაჟიორზე სრულად ან ნაწილობრივ ვრცელდება.

მუხლი 12. მენტორის მოვალეობები

1. უმაღლესი საბჭოს აპარატი სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენისთვის/განვითარებისთვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნით მენტორი:

ა) უშუალოდ წარმართავს და კოორდინაციას უწევს სტაჟიორის საქმიანობას;

ბ) სტაჟიორს აძლევს დავალებებს, განუსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოს მიმართულებას და მისი შესრულების ვადას;

გ) აკონტროლებს სტაჟიორის მიერ სამუშაოს და მოვალეობების შესრულებას;

დ) სტაჟიორს ხელს უწყობს უფლებების განხორციელებასა და მოვალეობების შესრულებაში, დროულად აწვდის საქმიანობასთან დაკავშირებულ, სწორ ინფორმაციას;

ე) აცნობს სტაჟიორს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სტრუქტურას, საქმიანობის სფეროსა და სპეციფიკას;

ვ) უქმნის სტაჟიორს შესაბამის გარემოს სათანადო პროფესიული გამოცდილების მიღებისთვის.

თავი IV. სტაჟირების შეწყვეტა

მუხლი 13. სტაჟიორთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა

1. სტაჟიორთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტაჟიორის პირადი განცხადება;

ბ) სტაჟიორთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) უმაღლესი საბჭოს აპარატის/მისი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცის გამო შტატების შემცირება;

დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;

ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ვ) სტაჟიორის მიმართ სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ზ) მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გათავისუფლება განისაზღვრა.

თ) სახელმწიფო სამსახურში ან საჯარო სამსახურში დანიშვნა;

ი) ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა სტაჟიორის მიერ მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმებისათვის თავის არიდება;

კ) გარდაცვალება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სტაჟიორი თავისუფლდება შესაბამისი გარემოების გამოვლენის დღიდან. ხოლო იმავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირადი განცხადების საფუძველზე.

თავი V. სტაჟირების დასრულება

მუხლი 14. სტაჟირების დასრულება

1. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მენტორის შუამდგომლობის საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს წარუდგენს სტაჟიორთა მიერ სტაჟირების გავლის პერიოდში განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე მათ დახასიათებებს (29.12.2023, N39).

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი, სტაჟირების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დახასიათების საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სტაჟირების შედეგების დადებითად შეფასების შესახებ;

ბ) სტაჟირების შედეგების უარყოფითად შეფასების შესახებ (29.12.2023, N39).

3. სტაჟირების გავლის შედეგების დადებითად შეფასების შემთხვევაში სტაჟიორზე გაიცემა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (სერტიფიკატი), რომელსაც ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი. სტაჟირების გავლის შედეგების უარყოფითად შეფასების შემთხვევაში სტაჟიორზე სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (სერტიფიკატი) არ გაიცემა.

4. სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობის (სერტიფიკატის) განმეორებით გაცემა არ ხდება, ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში სტაჟიორის პირად საქმეში არსებული მასალების საფუძველზე გაიცემა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი ცნობა.

თავი VI. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 15.

უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა ხდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭო

GEORGIA

THE SUPREME COUNCIL OF THE

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA

სერტიფიკატი
CERTIFICATE

სერეტიფიკატი ადასტურებს, რომ _____

წარმატებით გაიარა სტაჟირება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ———————-

_____

(სტრუქტურული ერთეულის დასახელება, სტაჟირების პერიოდი)

This is to certify that, _____

has successfully completed internship at administration of Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

_____

(name of structural division, Internship period

აპარატის უფროსი

Head of Administration

N

—— ———-20——